ხელშეკრულება № 138სშ
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
(CPV 60172000)

ერთი მხრივ, სსიპ - საქართველოს ეროვნული არქივი (ს/კ 211358957), შემდგომში წოდებული **„შემსყიდველად“**, წარმოდგენილი გენერალური დირექტორის, **თეონა იაშვილის** სახით და მეორე მხრივ, **შპს „ტურისტული სააგენტო ვიზიტ ჯორჯია“** (ს/კ 204460172), შემდგომში წოდებული **„მიმწოდებლად“,** წარმოდგენილი დირექტორის, **ალექსანდრე მამულაშვილის** სახით, ორივე ერთად წოდებული როგორც **„მხარეები“**, ვმოქმედებთ რა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანების მე-2 მუხლის ,,ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

1.1. **„ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“** (შემდგომში “ხელშეკრულება”) – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები;
1.2. **„ხელშეკრულების ღირებულება“** – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;
1.3. **„დღე“, „კვირა“, „თვე“** – კალენდარული დღე, კვირა, თვე;
1.4. **„შემსყიდველი“** – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას;
1.5. **„მიმწოდებელი**“ – პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურების მიწოდებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში;
1.6. **„მომსახურება**“ – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი;
1.7. **„ინსპექტირება“** – ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი და ზედამხედველობა.

2. ხელშეკრულების საგანი
სამგზავრო ავტობუსების (მძღოლებთან ერთად) დაქირავების მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა
(CPV 60172000)

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს **2’000.00 (ორი ათასი) ლარს, დღგ-ს ჩათვლით.**
3.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს როგორც მომსახურების ღირებულებას, ისე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.
3.3. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის, შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ამ შემთხვევაშიც ფასის ცვლილება დასაშვებია არაუმეტეს ხელშეკრულების ღირებულების 10 %-ით.

4. მხარეთა ვალდებულებები

4.1. **მიმწოდებელი ვალდებულია:**
ა) უზრუნველყოს სსიპ საქართველოს ეროვნული არქივის თანამშრომლებისთვის გუნდური კორპორაციული გარემოს გაუმჯობესებისა და ეროვნული არქივის ტერიტორიული ორგანოების სამუშაო სპეციფიკის გაცნობის მიზნით 2023 წლის 10 ივნისს, 09:30 საათიდან მიმდინარე დღის განმავლობაში, ერთი ცალი 48 და ერთი ცალი 43-ადგილიანი ავტობუსებით (მძღოლებთან ერთად) გასვლით შეხვედრაში მონაწილეების ორმხრივი ტრანსპორტირება შემდეგ მისამართებს შორის: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. №1-დან (საქართველოს ეროვნული არქივის ადმინისტრაციული შენობა) ქ. ახალციხე, ალ. მანველიშვილის ქუჩა №5 (სამცხე-ჯავახეთის რეგიონული არქივი).
ბ) განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე, აგრეთვე დაუყოვნებლივ უზრუნველყოს აღმოჩენილი ხარვეზის გამოსწორება;
გ) ხელი შეუწყოს შემსყიდველს ინსპექტირების განხორციელებისას;
დ) უზრუნველყოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებების განხორციელება.
4.2. **შემსყიდველი ვალდებულია:**
ა) უზრუნველყოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი;
ბ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

5. მომსახურების ხარისხი

გაწეული მომსახურების ხარისხი უნდა გამოირჩეოდეს უსაფრთხოებით, ჰიგიენურობითა და კომფორტით.

6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

6.1. შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების შესრულების კონტროლი განხორციელდება ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შემსყიდველის მოთხოვნათა შესაბამისად.

6.2. ინსპექტირებას განახორციელებს **სსიპ - საქართველოს ეროვნული არქივის ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსის დროებით მოვალეობის შემსრულებელი ნათია ბუაჩიძე ან იმ დროისათვის განყოფილების უფროსის დროებით მოვალეობის სხვა შემსრულებელი.**

6.3. შემსყიდველის შესაბამისი წარმომადგენელი (წარმომადგენლები, მოწვეული ექსპერტი) უფლებამოსილია ჩაატაროს ხარისხის კონტროლი და თუ აღმოჩნდება მომსახურება წუნდებული, მიმწოდებელი ვალდებულია წერილობითი შეტყობინებიდან დაუყოვნებლივ გამოასწოროს წუნი.

7. მომსახურების მიღება -ჩაბარების წესი

მომსახურების მიღება იწარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის სახით. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით ფაქტობრივად მიწოდებული მომსახურების შესაბამისად წინამდებარე ხელშეკრულების 6.2 პუნქტით განსაზღვრული ინსპექტირების განმახორციელებელი პირის დადებითი ინსპექტირების დასკვნის საფუძველზე.

8. ანგარიშსწორება

8.1. **ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:**

ა) ანგარიშსწორების ვალუტა: ლარი;

ბ) ანგარიშსწორების ფორმა: უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად;

გ) დაფინანსების წყარო: **2023 წლის საკუთარი შემოსავლები.**

8.2. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას ანგარიშსწორება მოახდინოს შესაბამისი შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტების, მხარეთა შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტისა და შემსყიდველის მიერ საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით გათვალისწინებული ანგარიშფაქტურის დადასტურებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

8.3. შემსყიდველი უფლებამოსილია, ხოლო მიმწოდებელი თანახმაა, ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო დაკისრებული პირგასამტეხლოს თანხა (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გამოქვითოს ყოველი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე მიმწოდებელზე გადასარიცხი თანხიდან და გადარიცხოს მიმწოდებლის სახელით სახელმწიფო ხაზინის შესაბამის სახაზინო კოდზე.

9. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

9.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ შესაძლო უმოკლეს ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

9.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე-11 მუხლის შესაბამისად.

10. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

10.1. ხელშეკრულების 4.1 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული პირობების, ასევე 6.3 ქვეპუნქტით განსაზღვრული ვადებისა და პირობების დარღვევის შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო შესაბამისად ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.02%-ის ოდენობით.

10.2. წინამდებარე ხელშეკრულების 8.2 ქვეპუნქტით განსაზღვრული ვადების დარღვევის შემთხვევაში მიმწოდებელი უფლებამოსილია შემსყიდველს დააკისროს პირგასამტეხლო შესაბამისად ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.02%-ის ოდენობით.

10.3. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელზე დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 1 (ერთი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას, შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

10.5. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1. ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

11.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

12. დავების გადაწყვეტა

12.1. ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკების გზით.
12.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადავო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია მიმართოს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს კანონით დადგენილი წესით.

13. ხელშეკრულების შეწყვეტა

13.1. შემსყიდველი უფლებამოსილია, შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.
13.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისაგან.
13.3. ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის თარიღიდან და მოქმედებს 2023 წლის 31 აგვისტოს ჩათვლით.

15. ფორსმაჟორი

15.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორსმაჟორული მდგომარეობით;
15.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორსმაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არის დაკავშირებული შემსყიდველის ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინითა და სხვა.
15.3. მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორსმაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოებისა და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან.

16. სხვა პირობები

ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე და ხელმოწერილია „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების მოთხოვნათა შესაბამისად.

17. მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი	**მიმწოდებელი**
სსიპ - საქართველოს ეროვნული არქივი	**შპს „ტურისტული სააგენტო ვიზიტ ჯორჯია“**
მისამართი: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. №1	**მისამართი:** ქ. თბილისი, ინგოროყვას ქუჩა №4ა
ტელეფონი: 2 38 14 25	**ტელეფონი:** (+995) 2 99 68 29; 2 92 13 88; 574 55 23 23
საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა	**ელფოსტა:** ekaterine.balamtsarashvili@visitgeorgia.ge
ბანკის კოდი: TRESGE22	**საბანკო რეკვიზ**
ანგ. №GE24NB0330100200165022	**ბანკის კოდი:** CR
ს/კ: 211358957	**ანგ. №**GE79CR00
	ს/კ: 204460172

Alexander Mamulashvili 01024010474

Digitally signed by Alexander Mamulashvili
Date: 2023.06.08 18:25:14